

სავალდებულო დაზღვევის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან

ასოც. პროფ. დოქ. ნატალია მონონელიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

რაც უფრო განვითარებული და მდიდარია სახელმწიფო და სადაზღვევო სისტემა, მით უფრო მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს. ბევრ ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სწორედ სავალდებულო დაზღვევის სახეთა გაფართოება დაედო საფუძვლად. მიუხედავად ამისა, სავალდებულო დაზღვევას დღემდე ბევრი ოპონენტი ჰყავს. ისინი მიუთითებენ, რომ ბაზარი, პირველ რიგში, უნდა განვითარდეს ნებაყოფლობითი დაზღვევის ხარჯზე. თავად მზღვეველები უნდა იყვნენ მოტივირებულნი, შესთავაზონ კლიენტს მისაღები პროდუქტი და ამის ხარჯზე გააფართოონ ბიზნესი, და არა სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო დაზღვევით, როგორც იძულების მექანიზმით.

ყველაზე მწვავე კრიტიკა სავალდებულო დაზღვევის მიმართ გამოწვეულია იმ მიზეზით რომ, იგი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელშიც ადამიანის თვითგამორკვევის ძირითადი უფლებაა გამოხატული.¹ ხელშეკრულების თავისუფლება გულისხმობს მხარის უფლებას თავისუფლად დადოს და მოშალოს ხელშეკრულება, აგრეთვე, თავი-

სუფლად განსაზღვროს მისი შინაარსი² — (დადებისა და შინაარსის თავისუფლება). მართალია, საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არ არის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოწესრიგებული, მაგრამ მის ძირითად კონსტიტუციურ საფუძვლად, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული, ადამიანის ძირითადი უფლებების თავი არის მიჩნეული.³ შესაბამისად, ამ უფლებების შეზღუდვა და სუბიექტთა საქმიანობაში ნებისმიერი საკანონმდებლო ჩარევა, ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე საჯარო ლეგიტიმური მიზნებით. საქართველოს კონსტიტუციის 34 III მუხლის თანახმად, „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.

1. დაზღვევის ფორმები

1.1. ნებაყოფლობითი დაზღვევა

წინა თავში განხილული იყო დაზღვევის კლასიფიკაცია სახეების მიხედვით, კლასიფიკაციის

¹ Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

² Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

³ ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2017, 72.

მომდევნო ტიპი, რომელზეც ამ თავში იქნება საუბარი, ეხება დაზღვევის ფორმებად დაყოფას.

დაზღვევის ფორმებად კლასიფიკაციის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული მეთოდია მისი დაყოფა ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევად. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დაზღვევა ხორციელდება სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმით. ნებისმიერი დაზღვევა, რომელიც არ არის სავალდებულო, ნებაყოფლობით დაზღვევას წარმოადგენს. ნებაყოფლობითი დაზღვევის ქვეშ მოიაზრება დაზღვევა, რომელიც საკანონმდებლო იძულების გარეშე წარმოიშობა. ასეთი ტიპის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს ხელშეკრულების დადებისა და შინაარსის თავისუფლების პრინციპი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ შორის ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაშიც, სხვადასხვა საკანონმდებლო დანაწესით, გარკვეულწილად, შეზღუდულია დადებისა და შინაარსის თავისუფლება. ასეთ შეზღუდვას განეკუთვნება ჩანაწერები, რომლებშიც მკაფიოდ არის მითითებული გარკვეული შინაარსის შეთანხმებათა ბათილობაზე. ასევე, ნახევრად სავალდებულო ნორმები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებული იყოს დამზღვევის საზიანოდ. ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, უმეტესწილად, განპირობებულია სამოქალაქო სამართალში მოქმედი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.⁴

2.2. სავალდებულო დაზღვევა

ნებაყოფლობითი დაზღვევის საპირისპირო კატეგორია სავალდებულო დაზღვევაა. იგი გულისხმობს კანონის ძალით ამა თუ იმ ქმედებისა თუ პროფესიის განმახორციელებელი სუბიექტისთვის სავალდებულო დაზღვევის დანესებას. სკ-ის 801-ე მუხლის თანახმად, კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება სკ-

ის დაზღვევის დებულებები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობას.⁵

2.2.1. სავალდებულო დაზღვევის განხორციელება და მისი განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგები

სავალდებულო დაზღვევას ნებაყოფლობითი დაზღვევისაგან მხოლოდ ერთი ძირითადი მახასიათებელი განასხვავებს: უმეტესად სავალდებულო დაზღვევის დროს დამზღვევს ევალება დააზღვიოს სხვა პირთა (დაზღვეულთა) სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება, ან დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე.

საპირისპირო ინტერპრეტაციის ძალით შეიძლება უკუდასკვნის გაკეთება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება დამზღვევს დაევალოს დააზღვიოს თავისი სიცოცხლე. აღნიშნული ვალდებულება მას შეიძლება მხოლოდ მესამე პირების მიმართ დაეკისროს. სავალდებულო დაზღვევის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი სანქციები საკმაოდ მკაცრია. კანონის 61 მუხლის თანახმად, „თუ პირი, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, არ არის დაზღვეული, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება.“ მიუხედავად რეგულაციის სიმკაცრისა, საყურადღებოა მისი განხორციელების სირთულე. ნორმა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოთხოვნა, ხელშეკრულების დადების თაობაზე, დააყენოს ხელშეკრულების მხარემ (დაზღვეულმა) და არა მესამე პირმა (დაზარალებულმა). მაგალითად, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 721 მუხლით დადგენილია: „მოსამართლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების დაზღვევა ხორციელდება

⁴ Lorenz, in: Beckmann / Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. Aufl., München 2009, § 1 Rn. 92-96.

⁵ Looschelders / Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 113 Rn. 3.

უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტიდან, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისა — საერთო სასამართლოების ბიუჯეტიდან”. კანონის 72 II მუხლის თანახმად კი „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება უზენაეს სასამართლოსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით ან ვაუჩერის საშუალებით. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით ან ვაუჩერის საშუალებით”. შესაბამისად, საერთო სასამართლოების მოსამართლეს უფლება აქვს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაუზღვევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს დამზღვევს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულება. თავის მხრივ, მზღვეველი ვალდებულია, კანონის 5 V მუხლის თანახმად, დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს ეს უფლება აზრს მოკლებულია, ვინაიდან მისი მფლობელი (დაზარალებული) განისაზღვრება მხოლოდ შესაბამისი გარემოებების ე.ი. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ. შესაბამისად, ფაქტის დადგომის შემდეგ ხელშეკრულების დადება დაზარალებულისთვის აზრს მოკლებულია, რამდენადაც დაზარალებულ მესამე პირს კანონის ძალით ისედაც აქვს მინიჭებული უფლება მოითხოვოს ხელშეკრულებით თუ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

როგორც აღინიშნა, თითოეული სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადება კანონით განისაზღვრება. სწორედ ეს ანიჭებს მას

ლეგიტიმურობას. კანონის შემოღებით კანონმდებელი, არა მხოლოდ განსაზღვრავს დასაზღვევ სუბიექტთა და რისკთა წრეს, არამედ ადგენს იმ მინიმალურ ლიმიტს, რომლის ფარგლებშიც უნდა დაიდოს დაზღვევის ხელშეკრულება და იმ სანქციებს, რომელიც დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობას მოჰყვება.

სავალდებულო დაზღვევათა უმრავლესობა მიმართულია ამა თუ პროფესიისა თუ უფლება-მოსილების განხორციელების დროს მესამე პირებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისკენ. შესაბამისად, კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს, ამ ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის⁶ 22-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. ამავე კანონის 23 I მუხლის თანახმად კი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისთვის, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება მას ეკისრება ნოტარიუსთა პალატისთვის დანიშნვიდან 2 თვის ვადაში. საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრში ნოტარიუსის რეგისტრაციისა და მისი საქმიანობის დაწყების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას სწორედ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს. ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით კი განისაზღვრება პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობები და სადაზღვევო თანხის მინიმალური ზღვარი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული სადაზღვევო თანხის მინიმალურ ოდენობად განისაზღვრება წელიწადში 100 000 ლარი. ნოტარიუსის ფუნქცი-

⁶ საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, 04.12.2009.

ის შესრულებისას მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს მზღვეველი, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდით. თუ მზღვეველის მიერ გადახდილი ანაზღაურება არ არის საკმარისი მიყენებული ზიანის სრულად ასანაზღაურებლად, ნოტარიუსი ფარავს სხვაობას სადაზღვევო ანაზღაურებასა და ზიანის ფაქტობრივ ოდენობას შორის. რა თქმა უნდა, ნოტარიუსს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს კანონმდებლის მიერ დადგენილი სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობა და შეეცადოს მაქსიმალურად დააზღვიოს მოსალოდნელი ზიანი. სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არარსებობა ან ამ ბრძანებით განსაზღვრული პირობების დარღვევა წარმოადგენს ნოტარიუსისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

მომდევნო სუბიექტი, რომლის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაც იქნება განხილული, არის სადაზღვევო ბროკერი. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 161 III მუხლის თანახმად, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს, სამსახურის მიერ დადგენილი წესით (მათ შორის, ლიმიტები, დაზღვევის პირობები), პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. 2019 წლიდან სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველსაყოფად ამოქმედდა საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დადგენის შესახებ, რომლითაც დადგინდა სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები (მათ შორის, ლიმიტები). აღნიშნული ბრძანების თანახმად, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. კერძოდ, მას ევალება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარადგინოს ამ წესით განსაზღვრული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი —

ხელშეკრულება და პოლისი, სამსახურში სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციიდან, დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელებიდან ან მასში ცვლილების შეტანიდან, ახალი ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტია ქონებრივი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან. სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წლიური მინიმალური სადაზღვევო ლიმიტი, საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, განისაზღვრება სადაზღვევო ბროკერის ან უცხოური იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ წინა საანგარიშო წელს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობით მიღებული შემოსავლის სულ მცირე ორმაგი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარისა. თუ სადაზღვევო ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა აღემატება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ლიმიტს, სხვაობა ანაზღაურდება უშუალოდ სადაზღვევო ბროკერის მიერ. შესაბამისად, ბროკერს შეუძლია კანონით დადგენილი ანაზღაურების მინიმალური ოდენობა, თავისი შეხედულებისამებრ, გაზარდოს. სავალდებულო პროფესიული დაზღვევის წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიყენოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანქციები. კერძოდ, კანონის 21¹ III მუხლის თანახმად, სამსახური უფლებამოსილია სადაზღვევო ბროკერის მიმართ გამოიყენოს სანქციები თუ ბროკერმა დაარღვია კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის რომელიმე ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება. შესაბამისად, კანონით დადგენილი სავალდებულო დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში სამსახურს შეუძლია:

ა. სადაზღვევო ბროკერს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ. დაანესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ სადაზღვევო ბროკერმა შეწყვიტოს და აღარ დაუშვას შესაბამისი დარღვევა და სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ზომები ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ. სადაზღვევო ბროკერს სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილი ოდენობით დააკისროს ფულადი ჯარიმა;

დ. სადაზღვევო ბროკერს გაუუქმოს რეგისტრაცია.

ზოგიერთი სავალდებულო დაზღვევის წესის დარღვევისთვის სანქციები გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. 2017 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით.⁷ სავალდებულო დაზღვევით ანაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი. ამავე კანონით განსაზღვრულია სადაზღვევო პრემიისა და ლიმიტის ოდენობის გამონაკლისი პირობები, რომელ შემთხვევებშიც მზღვეველს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, მათ შორის საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, არ დაიცავს კანონით დადგენილ მოთხოვნას პასუხისმგებლობის სავალდებულო წესით დაზღვევის თაობაზე, ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 191¹-ე მუხლი კი განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას თითოეული კატეგორიის ავტომობილის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ მძღოლი, რომელიც ჩაიდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ჯარიმის დაკისრებასთან ერთად ევალება ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოფხვრა 2 დღის ვადაში. თუ უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ გამოიწვევს სადაზღვევო შემთხვევას და მას არ ექნება სავალდებულო წესით სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული, იგი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებს ზოგადი წესის შესაბამისად.

2.2.2. სავალდებულო დაზღვევის ფუნქციები და შემოღების წინაპირობები

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სავალდებულო დაზღვევის ზოგადი ფუნქციები:

1. რისკის უზრუნველყოფა - სუბიექტები, რომლებზეც სავალდებულო დაზღვევა ვრცელდება, იძულებულნი არიან წინასწარ იზრუნონ საკუთარი ან სხვა პირების ქონებრივი ზიანის პრევენციაზე.

ყოველივე ეს ასევე იწვევს სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განთავისუფლებას, რაც სავალდებულო დაზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

2. მზღვეველის დაცვა გადახდისუუნარობისგან - სავალდებულო დაზღვევა მეტ სიმყარეს სძენს სადაზღვევო კომპანიებს, ვინაიდან რისკის დაბალანსება, მრავალრიცხოვანი დაზღვეულების შემთხვევაში, გაცილებით მარტივად მიიღწევა.

3. დამზღვევის დაცვა გადახდისუუნარობისგან - სავალდებულო დაზღვევა უზრუნველყოფს დამზღვევის მიერ დაზარალებული მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას.

4. სადაზღვევო პროდუქტის ღირებულების შემცირება - მრავალრიცხოვან დამზღვევთა გაერთიანების შედეგად სადაზღვევო პროდუქტი იაფი ხდება.

⁷ საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ, 28.12.2017.

თავის მხრივ, სავალდებულო დაზღვევას აქვს უარყოფითი მხარეები:

- ✓ დაზღვევაზე ვალდებული პირის კერძო ავტონომიაში ჩარევა;
- ✓ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების შეზღუდვა, რამდენადაც სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი ადგენს მინიმალურ ოდენობას (ლიმიტს);
- ✓ პროფესიის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისთვის დაზღვევა სავალდებულოა;
- ✓ მესაკუთრის უფლების შეზღუდვა, თუ ქონების დაზღვევა სავალდებულო წესით არის განსაზღვრული;
- ✓ მორალური რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი სავალდებულო დაზღვევის შემოღებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ ან პირთა ფართო წრის მიმართ საფრთხე;
- შემთხვევების დიდი ნაწილის მიმართ უნდა არსებობდეს საფრთხე, რომ ზიანის მიყენებული პირის ფინანსური მდგომარეობა არ იქნება საკმარისი ზიანის კომპენსირებისთვის, რაც დაზღვეულის ქმედების შედეგად, მიაღება მას თავად ან მესამე პირს;
- სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულება უნდა იყოს კონტროლირებადი;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავალდებულო სადაზღვევო დაცვის ხელმისაწვდომობა ბაზარზე;
- სადაზღვევო დაცვა შესაძლებელი უნდა იყოს ეკონომიკურად გონივრული, გადახდადი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ.

2.2.3. კონტრაქტების იძულების გამამართლებელი კონსტიტუციური საფუძველი

როგორც წესი, სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება. სავალდებულო დაზღვევით ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების შეზღუდვა ხდება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების შინაარსის მინიმალური სტანდარტის დაწესებით და მინიმალური სადაზღვევო თანხის დადგენით, ხოლო ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვა ხდება მზღვეველის კონტრაქტების იძულებით. კერძოდ, სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველი ვალდებულია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება ნებისმიერ პირთან,⁸ ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, დამზღვევეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება.⁹

სავალდებულო დაზღვევა, კონტრაქტების იძულებაცაა. გარდა იმისა, რომ იგი მიმართულია განსაკუთრებით საშიში ან მაღალი რისკის მქონე საქმიანობით (ქმედებით) დაკავებული პირებისკენ და ავალდებულებს მათ ხელშეკრულების დადებას, იგი ასევე წარმოადგენს მზღვეველის კონტრაქტების იძულების საშუალებას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თუ სახელმწიფო კონკრეტული საქმიანობის (პროფესიის, ქმედების) განსახორციელებლად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას წინაპირობად აყენებს, მაშინ შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სადაზღვევო ბაზარზე.¹⁰

კონტრაქტების იძულება სახელშეკრულებო სამართალში, სკ-ის 54-ე მუხლიდან გამომდინარე, მხოლოდ იშვიათ გამოჩენის შემთხვევაში დაიშვება. ეს გამოჩენისი ყოველთვის კანონით განისაზღვრება. სკ-ის 801-ე მუხლის თანახმად, “კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ თავის წესები, თუ ეს არ

⁸ საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, (02.05.1997) 5 V მუხლი.

⁹ საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, (02.05.1997) 6 I მუხლი.

¹⁰ Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113, Rn. 4.

ენინააღმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ.” სავალდებულო დაზღვევის შემოღება ყოველთვის კანონის ძალით ხდება. არცერთ სხვა ნორმატიულ აქტს, კანონის გარდა, არ შეუძლია დაადგინოს სავალდებულო დაზღვევა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, შეესაბამება თუ არა სავალდებულო დაზღვევის შემოღება კონსტიტუციით ნაგულისხმევ ლეგიტიმურ მიზანს და რამდენად გამართლებულია კონტრაქტების იძულება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითოეულ, პოტენციურად პასუხისმგებელ პირს შეუძლია, ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებით, დაიცვას თავისი ინტერესი და აღნიშნულის თაობაზე გადანყვეტილება ყოველგვარი იძულების გარეშე მიიღოს. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი, თავს იკავებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისგან, რისი ნათელი მაგალითიცაა საქართველო. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სადაზღვევო ბაზრის 2020 წლის ექვს თვიანი მიმოხილვის თანახმად, საქართველოში ავტომობილების საერთო რაოდენობის შვიდი პროცენტია დაზღვეული. ამასთან, საყურადღებოა, რომ დაუზღვეველ პირთა უდიდეს ნაწილს ზიანის სრულად კომპენსაციის შესაძლებლობა არ აქვთ.

2.2.4. კონტრაქტების იძულების ლეგიტიმური მიზანი

მაინც რა არის ის ლეგიტიმური მიზანი, რაც მზღვეველის კონტრაქტების იძულებას და ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვას კანონიერ ძალას ანიჭებს.

ნებისმიერი სახელმწიფო ღონისძიების გატარებისას, მათ შორის, სავალდებულო დაზღვევის შემოღებისასაც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას და მხედველობაში მიიღოს პროპორციულობის პრინციპი. კერძოდ, ხელშეკრულების დად-

ბის იძულების კოდიფიცირებისას, კანონმდებელმა უნდა მოახდინოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის შედეგების, განსაკუთრებით კი ეკონომიკური შედეგების, კომპენსირება. ამასთან ერთად, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ სოციალურ სახელმწიფოს არ აქვს უფლება აიძულოს მოქალაქე, თუნდაც თავის საკეთილდღეოდ, განახორციელოს რაიმე მოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზღვევის ვალდებულების კოდიფიცირების ლეგიტიმურობა არ შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ინტერესებითა და კეთილდღეობით. აუცილებელია არსებობდეს პოტენციურად დაზარალებული მხარის დაცვის განსაკუთრებული საჭიროება, რაც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვას ლეგიტიმურობას მიანიჭებს. სწორედ აქედან გამომდინარე, სადაზღვევო ვალდებულების ძირითადი მიზანი უნდა იყოს მსხვერპლის დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ზიანის მიმყენებლის დაცვა გაამართლებდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღებას, მაშინ ცხოვრების ყველა სფეროში, პასუხისმგებლობის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევისთვის სამოქმედო არეალი აღარ დარჩებოდა. უფრო მეტიც, კანონმდებელი ვალდებული იქნებოდა ყველა მოქალაქისთვის შემოეღო სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.

მართალია, თავად სავალდებულო დაზღვევის შესახებ ცალკეულ კანონთა ტექსტებით, დაზღვევის მიზნები არ არის გამყარებული, მაგრამ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში აღიარებულია, რომ სავალდებულო რეგულაციის შემოღებისას კანონმდებელს აქვს ორი მიზანი: პირველი, საკანონმდებლო რეგულაციის შემოღებით, იგი ახდენს კომპენსაციის თაობაზე დაზარალებულის მოთხოვნის უზრუნველყოფას¹¹ და მეორე, იცავს ზიანის მიმყენებელ პირს იმ ფინანსური წნეხისგან, რომელიც მას დელიქტური/სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისას

¹¹ უმრავლეს ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა, დაზარალებულს აძლევს უფლებას, დამზღვევის გაკოტრების შემთხვევაში, პირდაპირ მიმართოს

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველ კომპანიას, სადაზღვევო ანაზღაურება გაკოტრების მასაში არ შედის.

ადგება. სავალდებულო დაზღვევას დაზარალებული მესამე პირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, მზღვეველი, კანონმდებლის მიერ დადგენილი მინიმალური ლიმიტის ფარგლებში, ყოველთვის არის ვალდებული აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი. ეს ვალდებულება მას აკისრია მაშინაც კი, როდესაც მზღვეველი, ზოგადი წესის თანახმად, დამზღვევის წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. მაგალითად, სკ-ის 829-ე მუხლის თანახმად, „მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისგან თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.“ ყველა სავალდებულო დაზღვევის მარეგულირებელი ნორმა ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას ნებისმიერ შემთხვევაში აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი და ამის შემდეგ, რეგრესული მოთხოვნის უფლებით, დამზღვევისგან დაიბრუნოს გადახდილი თანხა. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს მზღვეველის უფლებას, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, რეგრესის წესით მოთხოვნა დააყენოს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიმართ, მათ შორის ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან სადაზღვევო შემთხვევა განზრახ გამოიწვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, მზღვეველი, დაზარალებული მესამე პირის წინაშე, პასუხისმგებელია მაშინაც კი, როდესაც საერთო წესის მიხედვით, (ზიანის განზრახ გამოწვევა) იგი ანაზღაურებისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ზემოაღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ სავალდებულო დაზღვე-

ვისას ყურადღება გამახვილებულია, არა მხოლოდ დამზღვევის ინტერესის დაცვაზე, არამედ დაზარალებულის ინტერესზე. იგი უნდა გათავისუფლდეს იმგვარი საფრთხის რეალიზაციისგან, როგორიცაა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა დამზღვევის გადახდის უნარობის შემთხვევაში. აღნიშნული მიზნები მკაფიოდ წარმოაჩენს დაზღვევის სოციალურ ფუნქციას, რაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის განსაკუთრებული, საყოველთაო და უნივერსალური დაცვის უზრუნველყოფაში ვლინდება.

ორივე მიზნის მკაფიო გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ სავალდებულო დაზღვევათა უდიდესი ნაწილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება.¹² იგი იცავს პოტენციურ დაზარალებულს (მსხვერპლის დაცვის ფუნქცია) კომპენსაციის გარეშე დარჩენისაგან. პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დაზარალებულს მზღვეველის სახით, ფინანსურად სტაბილური მოვალე ჰყავს, რომლისგანაც ზიანის ანაზღაურების მეტი გარანტია გააჩნია. სკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სწორედ „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით არის მზღვეველი მოვალე გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო“. საქართველოს კანონმდებლობა, განსხვავებით მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობისაგან, პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევათა მცირე წრეს განსაზღვრავს. მათ მიეკუთვნება: ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევა,¹³ აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა,¹⁴

¹² *Looschelders/Pohlmann, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Aufl., 2011, § 1, Rn. 43.*

¹³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №58 (17.03.2010), ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და

სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

¹⁴ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №12 (17.10.2016).

კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,¹⁵ მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,¹⁶ საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა,¹⁷ სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.¹⁸ ასევე, პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ევალება გადახდისუნარიობის პრაქტიკოსს.¹⁹

2.3. დასკვნა

თუ სავალდებულო დაზღვევას ევროპული ქვეყნების მაგალითზე განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, სავალდებულო დაზღვევის სიმრავლე, სახელმწიფოს განვითარების დონის პირდაპირ პროპორციულია. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ფრანგული სამართალი. აქ სადაზღვევო სამართალი სავალდებულო ნორმებით არის გაჯერებული და მიეკუთვნება ე. წ. *ordre public*-ს. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი *liberte contractuelle*,²⁰ არსებითად შეზღუდულია. დღესდღეობით საფრანგეთში 120-

მდე სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს, განსაკუთრებით სხეულის დაზიანების კომპენსაციის უზრუნველსაყოფად.²¹ ყველა სავალდებულო დაზღვევისთვის მოქმედებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მონონებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოდელი, რომლის საწინააღმდეგო შეთანხმებაც ბათილია (*non écrite*).²² ხელშეკრულების პირობათა იურიდიული ინტერპრეტაცია შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია კანონით, გამონაკლისის სახით.²³ აღნიშნული გამონაკლისის დაშვება, როგორც წესი, ეხება მზღვეველისთვის ხელსაყრელ იურიდიულ ნორმებს, რომელთა მოქმედების არეალი შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ხელშეკრულებით. მეორეს მხრივ, სამართლებრივ დანაწესთა დიდი ნაწილი არც დამზღვევის სასარგებლოდ არ არის ცვალებადი და იგი ინარჩუნებს იმ სახეს, რაც კანონმდებლის მიერ არის დადგენილი.

სავალდებულო დაზღვევის სიმრავლე გვხვდება სხვა სახელმწიფოებშიც. მაგალითად, პორტუგალიაში 70-ზე მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს. ათობით სხვადასხვა სავალდებულო დაზღვევას იცნობს ბელგია. გერმანიაში კი, 100-ზე მეტი სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს.²⁴

¹⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №118 (29.06.2009).

¹⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №177 (29.03.2019).

¹⁷ საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ (15.12.2017).

¹⁸ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №38 (27.09.2019).

¹⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №696 (30.03.2021).

²⁰ საფრანგეთის დაზღვევის კოდექსი - Art. 1134 Code civil.

²¹ საფრანგეთის სავალდებულო დაზღვევის შესახებ ვრცლად იხ. *Hedderich, Pflichtversicherung*, 2011, 43 ff. https://books.google.ge/books/p/mohr_siebeck?id=IFWO U1uuSsgC&pg=PR10&source=gbs_selected_pages&cad=1#v=onepage&q&f=false

²² *Bruns, Privatversicherungsrecht*, Verl. C.H. Beck, München, 2015, § 35, Rn. 6.

²³ *Code des assurances* Art. L. 111-2 C. ass. <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006073984/>

²⁴ ჯანმრთელობის დაზღვევა (*Krankenversicherung*), საზღვარგარეთ ყოფნის დროს ჯანმრთელობის დაზღვევა (*Auslandskrankenschutzversicherung*), სარისკო სიცოცხლის დაზღვევა (*Risikolebensversicherung*), ავტომობილის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (*Kfz-Haftpflichtversicherung*), მოტოციკლეტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (*Motorrad-Haftpflichtversicherung*), სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა (*Private Haftpflichtversicherung*), საყოფაცხოვრებო დაზღვევა (*Hausratversicherung*), შენობის დაზღვევა (*Gebäudeversicherung*), პროფესიული უნარიანობის დაზღვევა (*Berufsunfähigkeitsversicherung*), იურიდიული ხარჯების დაზღვევა (*Rechtsschutzversicherung*), ცხოველის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის

სახელმწიფოების მიხედვით სავალდებულო დაზღვევის განსხვავებული გავრცელება იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებები უბიძგებს ეროვნულ კანონმდებლობებს, კონკრეტული რისკის დასაფარად, შემოიღოს სავალდებულო დაზღვევა. პრაქტიკაში, სავალდებულო დაზღვევის შემოღებისას, კანონმდებლის მოქმედების თავისუფლება შემოფარგლულია მხოლოდ იმით, რომ საჭირო სავალდებულო დაცვა ხელმისაწვდომი იყოს ბაზარზე.²⁵ ეს როგორც

წესი უპრობლემოა, როდესაც ესა თუ ის სადაზღვევო პროდუქტი, რომლის სავალდებულო დაზღვევასაც გეგმავს კანონმდებელი, ბაზარზე ნებაყოფლობითი დაზღვევის სახით უკვე არსებობს. თუ ამგვარად არ არის და არც სადაზღვევო ინდუსტრიას სურს სამომავლოდ უზრუნველყოს რისკის დაფარვა, რადგან თვლის, რომ მაგალითად, ტერორისტული აქტებით, სტიქიური უბედურებით, გენეტიკური ინჟინერიის ან ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანი მისთვის არადაზღვევადია, მაშინ სავალდებულო დაზღვევის შემოღება ვერ მოხდება.

დაზღვევა (Tierhalterhaftpflichtversicherung - განსხვავდება მიწების მიხედვით და დამოკიდებულია ცხოველის ჯიშზე).

²⁵ Looschelders/Pohlmann, *Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Aufl., 2011, § 113, Rn. 4.